ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11923115001**

თარიღი:**25/04/2023**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი გიგინეიშვილის მივლინების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 66-ე მუხლისა და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართელოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი გიგინეიშვილი მივლინებულ იქნას ყვარლის მუნიციპალიტეტში ევროპის საბჭოს კონგრესისა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის თანამშრომლობის ფარგლებში ჩანიშნულ ანტი-დისკრიმინაციული კომუნიკაციის - ადგილობრივ დონეზე მრავალფეროვნების დაცვის და ინკლუზიის ხელშეწყობის ღონისძიებაზე 2023 წლის 26 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით.

2. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი გიგინეიშვილის მივლინების პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ავთანდილ ვანაძეს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი